

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის იურიდიული დახმარების
ცენტრი აცხადებს კონკურსს ადვოკატ-
კონსულტანტის თანაშემწეთა მისაღებად
საზოგადოებრივ სანყისებზე.**

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული დახმარების ცენტრი

ჭ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



აცხადებს კონკურსს ადვოკატ-კონსულტანტის თანაშემწეთა მისაღებად საზოგადოებრივ სანყისებზე.

კონკურსში მონაწილე პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- იყოს იურისტი ან იურიდიული ფაკულტეტის (საერთაშორისო სამართლის) ბაკალავრიატის მე-3, მე-4 ან მაგისტრატურის კურსის სტუდენტი ან კურსდამთავრებული.

- იცოდეს კომპიუტერთან მუშაობა (საოფისე პროგრამები)

კონკურსში მონაწილე პირმა უნდა წარმოადგინოს:

1. განაცხადის ფორმა, რომელსაც ადგილზე შეავსებს;

2. ავტობიოგრაფია (CV);

3. იურისტის დიპლომის ან სტუდენტობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

4. სამოტივაციო წერილი (კონკრეტულად მიუთითეთ თქვენი მოტივაცია, თუ რატომ გსურთ ამ კონკურსში მონაწილეობის მიღება);

იურიდიულ დახმარების ცენტრში თანაშემწედ ყოფნა გულისხმობს 6 თვიანი კურსის გავლას, რომლის წარმატებით გავლის შემთხვევაში მონაწილეები მიიღებენ შესაბამის სერთიფიკატს.

თანაშემწეთა მოვალეობაში შედის:

1. იურიდიულ დახმარების ცენტრში მოქალაქეებისაგან შემოსული კითხვა-პასუხების დაფიქსირება;

2. სარჩელების, განცხადებებისა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადებაში დახმარება;

3. საკანონმდებლო სიახლეებზე მუშაობა;

4. ბუკლეტებისა და ლიფლეტების შედგენისას იურისტების დახმარება და სხვა მოვალეობათა შესრულება;

საბუთების მიღების ვადაა 2012 წლის 20 ნოემბრიდან 07 დეკემბრის ჩათვლით.

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:

1. პირველი ეტაპი - წერიტი გამოცდა.

(თქვენ დაგეგვალეხათ თითო კაზუსის ამოხსნა თქვენს მიერ მითითებული სამართლის დარგის შესაბამისად _ სისხლის სამართალში სტაჟირების გავლის მსურველები ამოხსნიან ერთ კაზუსს, რომელიც შედგენილი იქნება სისხლის სამართლის კოდექსის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, ხოლო, სამოქალაქო-ადმინისტრაციულ სამართალში სტაჟირების გავლის მსურველები, ამოხსნიან ორ კაზუსს, რომელთაგან ერთი იქნება შედგენილი სამოქალაქო სამართლის კოდექსის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, ხოლო მეორე - ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიხედვით. წერიტი გამოცდა ჩატარდება 2012 წლის 18 დეკემბერს 12 საათზე, საიას სემინარების დარბაზში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე. კოდექსები თან იქონიეთ).

2.მეორე ეტაპი - გასაუბრება.

წერიტი გამოცდის წარმატებით გადალახვის შემთხვევაში დაბარებული იქნებით გასაუბრებაზე, სადაც ასევე, შემონმდება საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი - ცისანა ქადაგიშვილი.

მისამართი: თბილისი, ჭანსუღ ვახიძის ქ. (ყოფილი კრილოვის) #15

ტელ: 2-99 50 76; 2-93 61 01